ხელშეკრულება №87სბ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(CPV-79800000)

ერთი მხრივ, **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი** (სკ-211358957), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ფლაგ არტი"** (ს/კ- 206160018) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის **რომან დარჩიაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები" ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება")-** შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 **„ხელშეკრულების ღირებულება"** - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 **„დღე", „კვირა", „თვე"** - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 **„შემსყიდველი"**- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 **„მიმწოდებელი"** -პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 **„მომსახურება"**- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 **„ინსპექტირება"**- ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2022 წლის 24 მაისს დაგეგმილი გამოფენისთვის, „საქართველოს ეკლესიის წინამძღვრები" ბანერის ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად.
CPV-79800000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **1'200.00 (ერთი ათას ორასი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

დ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს, ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან, დაუყონებლივ, არაუგვიანეს 2022 წლის 18 მაისისა, საბეჭდი ელექტრონული ფაილების გაგზავნა მიმწოდებლის ელექტრონულ მისამართზე - flaggov@gmail.com;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული პროდუქტის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით დანართი №1-ით გათვალისწინებულ პირობებს და მაჩვენებლებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს, **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების უფროსი, ქეთო ასათიანი ან/და მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი მიწოდებულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები;

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ანგარიშსწორება მოახდინოს შესაბამისი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის (მათ შორის შუალედური) და შემსყიდველის მიერ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№1
ტელეფონი: 2-38-14-25
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:TRESGE22
ანგ.№ GE24NB0330100200165022
ს/კ – 211358957

მიმწოდებელი

შპს „ფლაგ არტი“
მისამართი:ქ.თბილისი, კალოუბნის ქ. 40;
ტელეფონი:599 57 31 46;
ელ ფოსტა: flaggov@gmail.com;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ანგ.№ GE72BG0000000894356101;
ს/კ-206160018

LTD FlagArt

Подписано цифровой подписью: LTD FlagArt
Дата: 2022.05.18 16:05:22 +04'00'

დანართი №1

შესყიდვის ობიექტის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები	**რაოდენობა და განზომილება**	**ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით**	**საერთო ფასი დღგ-ს ჩათვლით**	**შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები ვადა და ადგილი**
ბანერის ბეჭდვა **მასალა:** ბადე-ნაჭერი; **ზომა:** 393*410 (სმ); ფერადი; შემსყიდველის მიერ მიწოდებული საბეჭდი ელ. ფაილის შესაბამისად	1 ცალი	1’200.00	1’200.00	**მიწოდების ვადა:** არაუგვიანეს 2022 წლის 23 მაისის 16:00 საათი. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი:** ქ. თბილისი, კალოუბნის ქ.№40

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.№1
ტელეფონი: 2-38-14-25
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:TRESGE22
ანგ.№ GE24NB0330100200165022
ს/კ – 211358957

შპს „ფლაგ არტი“
მისამართი:ქ.თბილისი, კალოუბნის ქ. 40;
ტელეფონი:599 57 31 46;
ელ ფოსტა: flaggov@gmail.com;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ანგ.№ GE72BG0000000894356101;
ს/კ-206160018